ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოდის მე-12 წელი

№ 34 (934) | ოთხშაბათი, 21 მარტი, 1956 წ. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპატრიოტო რბოლა საბოლოოდ სპორტის მიზანდასახულ სახეობაა, რომელიც სპორტსმენისაგან ფიზიკურ გარდა ზუსტი ფოლის უნარს მოითხოვს, რადგან მონაწილეობას 30-კილომეტრიან დისტანციაზე 9 კილომეტრის გარბენის შემდეგ 2 საათზე უნდა დააზიანონ. ქვედა სურათზე თქვენ ხედავთ საკავშირო პირველობაზე სპორტის ამ სახეობაში გამარჯვებულ „დინამოს“ გუნდს ცეცხლის ხაზზე.

ა. მეკოკიშვილს ირანელი მოჭიდავეები ჯერ კიდევ უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატიდან იცნობენ. ისინი თვითონ იყვნენ მოწმე, თუ როგორ ამარცხებდა იაპონიაში მოწინააღმდეგეებს საბჭოთა გოლიათი. ამიტომ იყო, რომ მოსკოვში ყოფნისას ირანელი სპორტსმენები ხალისით ესაუბრებოდნენ ძველ ნაცნობს (იხ. შუა სურათი).

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მზადებისადმი მიძღვნილი უკრაინის მოტოციკლისტთა პირად-გუნდური პირველობა კიევის ოლქში ჩატარდა. 750 კუბური სანტიმეტრის მოცულობის ეტლიან მოტოციკლეებით შეჯიბრებაში 143-მა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა, რომლებმაც თოვლიან ტრასის მიუხედავად მაღალი შედეგები აჩვენეს. ქვედა სურათზე: მოტოციკლებით დისტანციაზე.

სანიმუშოდ მოვამზადოთ სპორტული ბაზები

სპარტაკიადის წელი ძალაში შევიდა. დედაქალაქში უკვე დაიწყო საქართველოს სსრ სპარტაკიადის ... ეტაპი. თბილისის საუკეთესო ... დათმობილი აქვს მოსწავლეებს, მწარმოთა და დაწესებულებათა ... ფიზკულტურულ კოლექტივებ... გუნდები, ცალკეული სპორტსმენები იბრძვიან საკუთარი კოლექტივის გამარჯვებისათვის, მაღალი ... მაჩვენებლების მოპოვებისთვის.

ბოლოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დებულების პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ სპარტაკიადა ... სოციალისტურ სამშობლოში ... კულტურისა და სპორტის შემდგომ აღმავლობისათვის, ფიზკულტურული კოლექტივებისა და მათში ... ... რიცხვის გაზრდისათვის, ... სპორტული ბაზების აგებისა... ... ამ წლისში ჩვენ უკანასკნელ ... ...

ავაგოთ, მოვუაროთ საკუთარ გაზეგს

კომპლექსური მოედანი



კომპლექსური მოედანი შეიძლება მოვაწყოთ სხვადასხვა ზომისა და კონსტრუქციის. ამ სურათზე ხედავთ საშუალო ზომის სპორტულ მოედანს, რომელსაც ერთი ჰექტარი ფართობი უკავია. მოედნის შემადგენელი ნაწილებია

1) ფეხბურთის მოედანი (მცირე ზომის) 90,0–50,0 მეტრი. 2) სარბენი ბილიკი 125,0×5,0 მეტრი, 3) სარბენი ბილიკი წრიული. 4) კალათბურთის მოედანი, რომელიც შეიძლება ფრენბურთის სათამაშოდაც გამოვიყენოთ, 5) მძლეოსნური სექტორები. 6) სიმაღლეზე სახტომი ორმო. 7) სიგრძეზე სახტომი ორმო. 8) ბადროს სატყორცნი წრე. 9) ხაზი ყუმბარის და შუბის ტყორცნისათვის. 10) ზირთვის საკვრელი წრე, 11) ტანვარჯიშული ბაქანი, 12) გასახდელი, 13) სპორტფარეშო, 14) ინვენტარის შესანახი შენობა.

ფეხბურთის მოედანი



ფეხბურთის მოედნისათვის საჭიროა სწორი, ბალახით დაფარული ადგილი, მოედნის ნორმალური სიგრძეა 104 მეტრი, სიგანე კი 69 მეტრი. შეიძლება მოედანი იყოს ნაკლები ზომის (90×50 მ). კარის სიმაღლეა 2 მეტრი და 44 სმ, სიგანე 7 მეტრი და 32 სმ. პირითი ხაზი აღინიშნება დროშებით. კარების, მოედნისა და საჯარიმო მოედნის სიდიდე შემცირებული ზომის მოედანზე უცვლელი რჩება.

ფრენბურთის მოედანი



ფრენბურთის მოედნის სიგანეა 9 მეტრი, სიგრძე 18 მეტრი. მოედნის მოსაწყობად ტერიტორია სასურველია იყოს 14×23 მეტრი ფართობის. მოედანი კეთდება სწორ ადგილზე. სპეციალურად მომზადებული ნარევის საშუალებით, მარტივი სახის მოედნისათვის გამოყენებულ იქნება ჩვეულებრივი ნიადაგი, რომელიც გაიწმინდება ქვა-ღორღისაგან, დაიტკეპნება ხელის სატკეპნი მანქანით. ნიადაგი უნდა იყოს რბილი, წყალგამტარი. მაგარი ნიადაგის შემთხვევაში საჭიროა მოვთხაროთ 10 სმ ფენა და მასში ჩავყაროთ თიხისა და სილის ნარევი.

ნორმალური კონსტრუქციის მოედნის მოსაწყობად მზადდება თიხის, ნამტვრევი აგურის, სილის, ნახშირის ნაიწვისა და ღორღის ნარევი. როდესაც ნიადაგი წყალგამტარია, მოედნის ოთხივე მხარეს ეწყობა საღრენაჟო არხი. ნიადაგის პირველი ფენაა 10 სმ მსხვილი ქვა და ღორღი. შემდეგ დავაყრით ღორღისა და ნახშირის ნამწვის ნარევს (10 სმ). ზედაფენაა თიხის, სილის, აგურის ნატეხებისა და გაცრილი მიწის ნარევი. ყოველი ფენა ცალცალკე უნდა დაიტკეპნოს, მოსწორდეს, მოირწყას. ნარევის პროპორცია უნდა დავიცვათ



ადგილობრივი პირობების შესაბამისად. ბადის გასაჭიმავად იხმარება ხის ბოძები ანდა ლითონის მილები, მათი სიმაღლე უნდა იყოს 2 მ და 50 სმ.

სარბენი ბილიკი

მოედნის დაპროექტება და მშენებლობა იწყება ფეხბურთის მოედნის გამოყოფით. სარბენი ბილიკები შეიძლება მოეწყოს ნორმალური და მარტივი კონსტრუქციის. ნორმალური სარბენი ბილიკის მოსაწყობად უნდა ამოითხაროს ნიადაგი 30 სმ სიღრმეზე, ორმოს სიგანე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ სარბენ ბილიკს ვაკეთებთ. ბილიკის პირველ ფენად გამოყენებული იქნება 10 სანტიმეტრის სიმაღლის ღორღი, შემდეგი ფენაა ქვა და ქვიშა. მესამე ფენა იქნება ნახშირის ნამწვის, თიხის, ქვიშის, სილისა და მიწის ნარევი. თვითეული ფენის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 სმ-ს. თუ სარბენი ბილიკი მივიღეთ არადამაკმაყოფილებლად გამძლე, ზევიდან ფენას უნდა დაემატოს თიხა. თუ ბილიკი მივიღეთ მაგარი, უნდა დაემატოს სილა ან ნახშირის ნამწვი.

მარტივი კონსტრუქციის სარბენი ბილიკი ეწყობა პირდაპირ ნიადაგზე დამატებითი მასალების გარეშე. ნიადაგი უნდა გავწმინდოთ კარგად, შემდეგ მოსწორდეს, მოიკირწყლოს და დაიტკეპნოს იმისათვის, რომ წვიმის დროს ბილიკის ზედაპირზე არ გაჩნდეს გუბეები. ბილიკის ზედა ნაწილს ეძლევა 3–5 სმ დაქანება. ერთი ბილიკის ზომაა მეტრი და 25 სმ. ისინი ერთმანეთისაგან გამოიყოფა 5 სმ სიგანის ხაზებით. ფინიშის ხაზზე იდგმება ორშ ბოძი, რომლებზეც გაჭიმულია ზონარი.

სიგრძეზე სახტომი ორმო

სიგრძე 6, სიგანე 3 მეტრია, ხოლო სიმაღლე 30 სმ. ორმოში იყრება ხალა. შეიძლება სილაში მცირე რაოდენობით შეერიოს ნახერხი. ორმო სამი მხრიდან შემოიფარგლება ხის დგამებით. ამოითხრება ადგილი 10 სმ სიგანის ფიცრის დასამაგრებლად, რომელიც მხტომელს არეკნის ადგილს უჩვენებს და რომელიც ორმოდან დაშორებულია არა ნაკლები 1,5 მეტრისა.

სიმაღლეზე სახტომი ორმო

ზომები იგივეა, როგორც სიგრძეზე სახტომი ორმოსი. ორმოს თავში იდგმება ხის ან ლითონის 3–5 სმ დიამეტრის დგამები (შეიძლება კუთხურიც), რომლებსაც უკეთდება ხის ან ლითონის თამასის დასაყრდენი სამაგრები. გამოსარხენი ადგილის ნიადაგი შეიძლება იყოს სპეციალურად მომზადებული და ბუნებრივიც.

მარტივი ტიპის საცურაო აუზი

ეწყობა მდინარეზე, ტბაზე, გუბურებში. ვიდრე დავიწყებდეთ აუზის მშენებლობას, უნდა შევარჩიოთ ადგილი, რომელიც დააკმაყოფილებს სანიტარულ მოთხოვნილებებს, რისთვისაც საჭიროა სანიტარული ექიმის ნებართვა. მცირე აუზის სიგრძე არ აღემატება 25 მეტრს, სიგანე 15 მეტრს. წყლის სიმაღლე ერთი მეტრიდან 4 მეტრამდე. სასურველია, რომ აუზის ფსკერი მოფენილი იყოს ქვის დიდი ნატეხებისაგან. მარტივი საცურაო აუზის ძირითადი ნაგებობანია კოშკურა და საწყლისნო ბილიკი.

სასტარტო ტივის სიგრძე 5 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს. სასტარტო ტივისთვის საჭიროა 20–25 სმ დიამეტრის 5–7 ფიქვის ძელი, ოთხი ძელაკი და ორი სქელი ფიცარი. ტივის შეკვრა უნდა მოხდეს რკინის ქანჩებით. ზეთთ მას გადაეკვრება ფიცრები, წყლის ფსკერზე უნდა ჩავარჭოთ ბოძები, რომლებზეც დამაგრდება ტივი.

სასტარტო ტივზე უნდა დაიდგას სასტარტო კოშკურა, რომლიდანაც მოცურავე თავისუფლად გადახტება. თვითეულ კოშკურას აქვს თავისი საცურაო ბილიკი, რომელთა სიგანე არ აღემატება 2–2,5 მეტრს. საცურაო ბილიკი აღინიშნება მცირე ზომის ძელაკებისაგან.

იმ შემთხვევაში თუ მარტივი ტიპის საცურაო აუზში წყლის სიმაღლე 4–5 მეტრამდე აღწევს, შეიძლება აშენდეს 1, 3, 5-მეტრიანი სახტომი კოშკი.

თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის საჯიდაო დარბაზის რემონტი გასულ წელს დაიწყეს, მაგრამ მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს.

რედაქციაში შემოსული წერილებიდან.

ნახ. სპორტის ოსტატ გ. ყირმელაშვილისა.

განა ქვეყნად ყველაფერი
მუდმივი და უცვლელია,
ეს დარბაზი ამ სიმართლის
უტყუარი ფურცელია.

შეკეთება რომ დაიწყეს,
შენოდენა ვიყავ მაშინ,
შენ თუ არა, ამ დარბაზში
ივარჯიშებს შენი ბავშვი.

სიბერეში მოეხვრები,
ნუ დაკარგავთ ამის იმედს,
მშენებლები რა ხალხია,
დიდხანს თუ არ გალოდინეს.

...ამრავლ... თქვენმა ...

სპორტის ახალი ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ხერგიანი

ყინვიან ამინდშიც ... ლებს ხშირად უნახავ... დამომდე სოფლის ... ლასურებით მოსიარულ... ეს იყო მ. ხერგიანი, ... უკვე 16 წლისამ რაინ... ნობა მოიპოვა და ბაკ... ემგზავრა რესპუბლ... ლობაში მონაწილეობის...

1948 წელს ხერგიანი... შეიპრა ალპინიზმისაკენ... ლი, როცა პირველ... წვერვალ ბანგურიას... კი ფეხდაფეხ მისდ... მას, რომელიც ექსპედ... რი იყო. შემდეგ არც ... საყრელი მომენტი არ ... თა დაეპყრო წვერვალ... დიდრებინა სპორტულ...

მ. ხერგიანს 40-ზე ... მიუღია მონაწილეობა, ... ყველაზე მნიშვნელოვან... თაუ-ჩანას წვერვალ... გასულ წელს ხერგიანი... ჩვენი რესპუბლიკის ... უკეთესო მთამსვლელ... იქნა ქართველ ალპინის... დიციაში, რომელიც ბა... ლესი წვერვალების ... ვად ემზადებოდა. ... მსვლელებმა ერთი მ... ლებით დაიპყრეს სტ... ლოტოვის, „პრავდის“ ... მაღალი წვერვალები. ... ვან ალპინისტთა შორის ... ლოვანი ადგილი ეჭირა ... რომელსაც არც ერთი ... არ დაუტოვებია ფეხშ...

დ. გვანცელაძ...

ბათუმის სპორტულ... დარბაზში გაშლილ ... წვრთნელი ა. მამინაშ... სიკეთ ჭიდაობაში ... მოსწავლეებს, თანატო... სხარტი მოძრაობით ... შედარებით დაბალი ... ნა, რომლის მოქმედ... ჩანდა მისი ნათელი მ...

რვა კლასის დამთავ... დეგ დ. გვანცელაძე ... ლად გადმოვიდა თბ... სწავლა განაგრძო 71-ე ... მაგრამ არც ჭიდაობა ...

იგი 16 წლისა იყო, ... ველად გამოვიდა ფარ... ელზე — ჭაბუკთა რ... პირველობაზე კლასიკურ... ში და უმჩატეს წონაში ... გილი დაიკავა, მას შემ... ქალაქო, რესპუბლიკურ... ლური საბჭოსა და საკ... ჯიბრებების უცვლელ... და პრიზიორია. 1954 ... წლებში ზედიზედ მოგ... საკავშირო პირველობ... გახდა პროფკავშირთა ... საბჭოს ჩემპიონი.

ამას წინათ ფიზკულ... კავშირო კომიტეტიდან ... ბრძანებით დ. გვანცელ... ნიჭა სპორტის ოსტატ...

საქართველოს სსრ სპარტაკიადის II ეტაპზე

ახალი რეკორდი

ქალაქის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს კიროვის რაიონის სპარტაკიადა, რომელიც 5 მარტს დაიწყო. ასპარეზობაში ერთდროულად ჩაებენ რაიონის სკოლები და საწარმოთა ორგანიზაციები. სპარტაკიადის საზეიმო გახსნის შემდეგ მოეწყო შეჯიბრება ტანვარჯიშში, სადაც უძლიერესი აღმოჩნდა 69-ე საშუალო სკოლის კოლექტივი.

7-დან 13 მარტამდე საჩამომსხმელო-მექანიკური ქარხნის სპორტულ დარბაზში ჩატარდა პირველობა ფრენბურთში, საწარმოთა შორის ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა არტელ „რემობუვის“ კოლექტივი. მოსწავლეთა შორის პირველები იყვნენ 104-ე სკოლის გოგონები, ჭაბუკებში კი 70-ე სკოლის წარმომადგენლები.

რაიონის დოსაფის ტირში მოეწყო ასპარეზობა ტყვეთით სროლაში მკირეკალიბრიან შაშხანიდან. პირადი პირველი ადგილი წილად ხვდა საქართველოს ნაკრების წევრს შ. ქველიაშვილს, რომელმაც 300 შესაძლებლიდან 263 ქულა დააგროვა. საერთო გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდა 72-ე სკოლის ნაკრებ კოლექტივს. საწარმოთა შორის გაიმარჯვა არტელ „რემობუვის“ ძირეულმა კოლექტივმა.

შეჯიბრება ცურვაში მოეწყო „დინამოს“ ზამთრის საცურაო აუზში. მაღალი შედეგი ჰქონდა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ვ. ნიკიტინს (72-ე სკოლა), რომელმაც დაამყარა რესპუბლიკური რეკორდი. ამანათცურვაში 4×100 პირველობა მოიგო 78-ე სკოლის ნაკრებმა. საწარმოთა შორის პირველი იყო „საქტრიკოტაჟის“ კოლექტივი. ვაჟთა შორის არტელ „რემობუვის“ წარმომადგენელმა გ. კალმახელიძემ მოიპოვა პირველობა 100 მეტრზე ცურვაში შედეგით 1.25,0. ამანათცურვაში (4×50) პირველები იყვნენ „საქტრიკოტაჟის“ სპორტსმენები.

უ. ჯიჯინაძე

კარგი შედეგები

კიევში დამთავრდა „კრასნოე ზნამია“ ცენტრალური საბჭოს პირველობა წყალში ხტომაში.

წარმატება ხვდა წილად საქართველოს გუნდს. ქალთა შორის ტრამპლინიდან ხტომებში გაიმარჯვა ტ. ოწკირველმა, მისი შედეგი 120,65 ქულა პირველთანრიგოსნის ნორმატიეა.

ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი კომკიდან ხტომაში ვაჟთა შორის გახდა მ. იუზბაშევი (149,00 ქულა). აღსანიშნავია, რომ იუზბაშევის შედეგი სულ 6 ქულით ჩამორჩება სპორტის ოსტატის ნორმას.

ი. რუხაძე

ბაკურიანელი ფეხბურთელი

კობა წაქაძემ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა ტრამპლინიდან ხტომაში

1952 წლის 5 თებერვალი იყო. თვის დასაწყისიდან არ უთოვია, თხილამურები კარგად სრიალებდნენ ადრე გავლებულ კვალზე, ადვილი იყო მაღალი შედეგების ჩვენება, მაგრამ სწორედ შეჯიბრების გახსნის წინა დღეს მოიღრუბლა და თოვა დაიწყო. მთელი ღამე ბარაქიანად თოვდა, ამის მიუხედავად საქართველოს XVII პირველობის მონაწილეებმა დანიშნულ დროზე აღმართეს ჩემპიონატის ალამი. ამ შეჯიბრებაზე 17 წლის ჭაბუკი კობა წაქაძე პირად პირველობაში გამოდიოდა სამთო ორჭიდსა და ტრამპლინიდან ხტომაში. ორჭიდში თანასკოლელ ზ. თვაურის შემდეგ იძულებული გახდა მეორე ადგილით დაკმაყოფილებულიყო. წინ იყო შეჯიბრებები მის საყვარელ სახეობაში — ხტომებში. აქ აპირებდა იგი რეკვანშის აღებას, თუმცა ხტომებშიც საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგენი ყავდა. მას როდი ჩამოუვარდებოდნენ ა. ადამიანცი, პ. გავა, ზ. თვაური. ისინი ხომ ერთად ვარჯიშობდნენ და თითქმის ერთნაირად ფლობდნენ ხტომის ტექნიკას!

ჩემპიონატის უკანასკნელი დღე იყო. ტრამპლინისაკენ შეუწყვეტელ ნაკადად მიემართებოდა მაყურებელი. შეჯიბრება დაიწყო 45-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. გაისმა მსაჯის ნიშანი. მოთხილამურე ელვის სისწრაფით დაეშვა, არეკნის ბაქანთან წამით გაუჩინარდა და... ჰაერში აიჭრა.

— კობა წაქაძის ნახტომი 42 მეტრია, ტექნიკური შეფასება — უმაღლესი! — გამოაცხადა მსაჯმა. ამ ტრამპლინზე ორი ცდის ჯამში მან 205 ქულა მოაგროვა და ჩემპიონობა მოიპოვა. მასვე დარჩა გამარჯვება 70-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაშიც.

მომდევნო წელს რესპუბლიკის ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს 70-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში პირველად სტარტი აიღო ბაკურიანელმა პ. გავამ. მან შესანიშნავ სტილში შეასრულა ნახტომი (63,5 მ) და 1,5 მეტრით გაუმჯობესა ძველი რესპუბლიკური რეკორდი. ბრწყინვალე იყო გავას მეორე ნახტომიც. მან ჩემპიონობა მოიპოვა. კობა წაქაძე მეგობარს მხოლოდ 7,5 ქულით ჩამორჩა, მაგრამ ამით არ დამთავრებულა მათ შორის ბრძოლა.

ამ შეჯიბრების შემდეგ კობა წაქაძე და ა. ადამიანცი, კოლმეურნე მოთხილამურეთა რესპუბლიკურ ნაკრებში შეიყვანეს და საზოგადოების საკავშირო პირველობაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში გაგზავნეს. იაჩრომას მიდამოებში ჩატარებულ შეჯიბრებაზე 18 წლის ჭაბუკმა, ბაკურიანელმა შევარდენმა, კობა წაქაძემ შესანიშნავი წარმატება მოიპოვა — „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა.

გადიოდა წლები... იზრდებოდა და მტკიცდებოდა წაქაძის სპორტული ოსტატობა. შარშან იგი ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოთხილამურეთა ნაკრებში შეიყვანეს. ახალგაზრდა სპორტსმენის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ხანა — ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების ხანა.

გასული წლის დეკემბერში საბჭოთა მოთხილამურეების ნაკრები კორტინა დამპეცოში გაემგზავრა. იქ ჩასვლამდე ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და ავსტრიაში ჩაატარეს რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა.

ყველა შეჯიბრებაზე კ. წაქაძის გამოსვლა მაყურებელთა საერთო მოწონებას იმსახურებდა, მაგრამ ფეხის ტკივილის გამო ბრწყინვალედ შესრულებული ნახტომები ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა, სპორტსმენი მიწაზე დაშვებისას ეცემოდა, ნახტომი არ ეთვლებოდა. ნიჭიერმა ახალგაზრდამ ძალე აღმოფხვრა ეს ნაკლოვანება და პირველი გამარჯვება მოიპოვა ინსბრუკში (ავსტრია) გამართულ საერთაშორისო შეხვედრაზე.

გამბედავი, შეუპოვარი ახალგაზრდა სტარტზე გამოვიდა გამარჯვების სრული რწმენით, მან უკან ჩამოიტოვა მსოფლიოში საკმაოდ ცნობილი მხტომელები, მათ შორის საერთაშორისო კლასის მოთხილამურე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი გარი გლასიც და გაიმარჯვა. მისი პირველი ნახტომი 79,5 მეტრს უდრიდა, მეორე—74 მეტრს, ტექნიკური შესრულება—უმაღლესს და 225 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

მოახლოვდა ოლიმპიური თამაშების დღე. ყველანი იტალიისაკენ, კორტინა დამპეცოსაკენ გაემგზავრა. აქ უკვე ყველასათვის კარგად იყო ცნობილი გარი გლასის, კალაკორპას, სილვენონენის, წაქაძისა და სხვა სახელები. ესენი მიაჩნდათ პირველობის ძირითად პრეტენდენტებად. უმტესობა იმედს ყველაზე ახალგაზრდა წაქაძეზე ამყარებდა, მათი იმედი კიდევ უფრო გაიზარდა დამპეცოში ახალ ოლიმპიურ ტრამპლინ „იტალიადან“ ჩატარებული ხტომების შემდეგ, სადაც ბაკურიანელმა შევარდენმა ყველაზე კარგი შედეგი — 83 მეტრი აჩვენა. ეს იყო დიდი შეჯიბრების წესავალი.

მართალია, ოლიმპიურ თამაშებზე კობამ ვერ მიაღწია მიზანს, ვერ მოიპოვა საპრიზო ადგილი, მაგრამ საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მისთვის ამაოდ არ ჩაუვლია, საფუძვლიანად დაეუფლა ტრამპლინიდან ხტომის ტექნიკას, მტკიცედ ჩაუდგა სათავეში ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მხტომელებს.

გუშინ რედაქციამ კიროვსკიდან მიიღო დეპეშა, რომელიც იტყობინება: „აქ ჩატარებულ საკავშირო პირველობაზე ტრამპლინიდან ხტომაში ბაკურიანელმა კობა წაქაძემ მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის საპატიო წოდება. იგი პირველი ცდით 60,5 მეტრზე გადახტა, მეორე ცდაში ეს შედეგი კიდევ 10 მეტრით გაუმჯობესა და 218,1 ქულით მოიპოვა უძლიერესის სახელი. მეორე ადგილზე გამოვიდა შამოვი (54 და 64,5 მ), მეოთხეზე — ნ. უსაკოვი“.

ა. გელაშვილი

საქართველოს სსრ სპარტაკიადის II ეტაპზე

შეჯიბრებაში ჩაებნენ სტუდენტები

18 მარტს თბილისის სპორტულ ბაზებზე დაიწყო უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია სპორტის 10 სახეობა. სტუდენტი ფიზკულტურელები ერთმანეთს პირველობას ეცილებიან სპორტულ ტანვარჯიშში, კალათბურთში, ფრენბურთში, ცურვაში, სროლაში, ქართულ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ფარიკაობაში, ჩოგბურთსა და ველოსპორტში (სპარტაკიადის მთავარი მსაჯია — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. იოსებაშვილი). დედაქალაქის სტუდენტთა ასპარეზობაში მონაწილეობენ ისეთი ძლიერი კოლექტივები, როგორიცაა: ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ლენინის სახელობის რკინიგზის ინჟინერთა სატრანსპორტო ინსტიტუტის, უცხო ენათა ინსტიტუტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, მეტალურგიული ტექნიკუმის, ნავთობის ტექნიკუმის, ფიზკულტურის ტექნიკუმისა და სხვა სასწავლებელთა კოლექტივები. სპარტაკიადაში 1.500-ზე მეტი ფიზკულტურელი მიიღებს მონაწილეობას.

„დინამოს“ სტადიონზე უკვე დაიწყო შეჯიბრებები მძლეოსნობაში. ჩოგბურთის ცენტრალურ კორტზე — ჩოგბურთში, ხოლო „ბიშჩევიკის“ სპორტულ დარბაზში ბრძოლა დაიწყეს მოფარიკაველებმა. სტუდენტთა ასპარეზობაში მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი ოსტატები: ნ. დვალიშვილი, ლ. სანაძე და სხვები. დედაქალაქის სტუდენტთა ასპარეზობა მარტის ბოლომდე გაგრძელდება.

შ. ქირია

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 15 იანვრის ნომერში დაბეჭდილ წერილში აღნიშნული იყო, რომ ორჯონიკიძის რაიონის მარელისის ავეჯის ფაბრიკასა და ცენტრალურ შამპანსკმბინატში ყურადღება არ ექცევა ფიზკულტურულ მუშაობას. ასეთივე სავალალო მდგომარეობაა ავრეთვე კიცხის, ლეღვანის, ღორეშისა და სხვა საკოლმეურნეო ფიზკულტურულ ორგანიზაციებშიც.

როგორც საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომიდან გვატყობინებენ, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ზემოაღნიშნული საკითხი განიხილა პარტიის რაიკომის ბიურომ და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს ტანმოვარჯიშეები ემზადებიან სპარტაკიადისათვის

ე. სოკოლოვი,
ხტალინის სახელობის ფიზიკური კულტურის ცენტრალური ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, სპორტის ოსტატი.

ი. ბ. სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ცენტრალური ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრა ამჟამად სწავლობს ტანმოვარჯიშეთა მზადების მსვლელობას სპარტაკიადისათვის. ეს მუშაობა მიმართულია საორგანიზაციო, ტექნიკური და მეთოდური ხასიათის მოსამზადებელ ღონისძიებათა, წვრთნის მეთოდიკის საკითხის გამოსარკვევად და მოწინავეთა გამოცდილების განსაზოგადოებლად. ამ მუშაობის პროცესში ერთდროულად ისმება განსაზღვრული დახმარების აღმოჩენის ამოცანებიც. ასეთი მუშაობა წარმოებს რესპუბლიკებში, სადაც არის ტანმოვარჯიშეთა ძლიერი კოლექტივები.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა საქართველოს ტანმოვარჯიშეთა მზადება სპარტაკიადისათვის. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრებ ვუნდში გამოცდილ ტანმოვარჯიშეებთან ერთად არიან ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენები. გუნდის დაკომპლექტება ასეთი პრინციპითა თქმა უნდა, სწორია. ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებს საშუალება აქვთ ისწავლონ გამოცდილთაგან, გადმოიღონ მათგან ვარჯიშების შესრულების კლასი. ასეთი მეთოდით გუნდის დაკომპლექტება უზრუნველყოფს სპორტსმენის სპორტულ ზრდას და იძლევა დადებით შედეგს.

მწვრთნელებად მოწვეული არიან გამოცდილი პედაგოგები, რომლებიც ახლო წარსულში თვითონ იყვნენ გამოჩენილი ტანმოვარჯიშეები, რომლებმაც ზედმიწევნით იციან ტანვარჯიშის საიდუმლოებანი და წარმატებით გადასცემენ მას ახალგაზრდებს.

მეცადინეობის დაგეგმვასა და ორგანიზაციაში მრავალი საინტერესო სიახლეა შეტანილი. იარაღების დადგმა მეცადინეობის დაწყებამდე ხდება მორიგე განყოფილების მიერ, დგება მოთელვითი ვარჯიშების კომპლექსები, რომლებსაც ტანმოვარჯიშეები ადრევე სწავლობენ, ხოლო წამყვან მასწავლებელს საერთო მოთელვაზე უხდება მხოლოდ კომპლექსის ნომრის მითითება. ამ ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა მეცადინეობის სიმკვრივე. კარგი იქნებოდა, რომ მოთელვა ვაჟთა შორისაც მუსიკის თანხლებით წარმოებდეს ისევე, როგორც ქალთა შორის. ეს მეტ სიმხნევეს და ენოციურობას შეიტანდა მომეცადინეთა შორის.

ყოველ მეცადინეობაზე ტანმოვარჯიშეები გადიან ექვსივე იარაღს. ამგვარად, ერთ იარაღზე ყოველ განყოფილებას ეძლევა დაახლოებით 25 წუთი, მაგრამ იარაღების ცვლის გრაფიკი დაგეგმილია ისე, რომ მწვრთნელს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია შეჩერდეს ჩამორჩენილ იარაღზე ან ადრე წავიდეს ამ იარაღიდან, რომელზეც მისი განყოფილების ტანმოვარჯიშეები საკმაოდ კარგად მუშაობენ. ამით იგი არ უშლის სხვა განყოფილებას, ვინაიდან მათ შორის არის თავისუფალი იარაღი.

დადებითი სიახლენი არის თვით წვრთნის მეთოდიკაშიც. მეცადინეობის პროცესში მწვრთნელი აღრიცხავს სავალდებლო და ნებისმიერი კომბინაციების შესრულებას. იგი აღნიშნავს ნაკლოვანებებს და ზუსტად განსაზღვრავს იმ ანოცანებს, რომლებზეც უნდა იმუშაოს ტანმოვარჯიშემ დამატებით მეცადინეობებზე. მისწრაფება ასეთი აღრიცხვისაკენ ახალი არაა, მაგრამ აქამდე არ მოხერხდა შესაფერისი ფორმის გაგოძებნა. აღრიცხვის სისტემა, რომელიც დაწესებულია საქართველოს ნაკრებ გუნდში, მეტად მოხერხებული და ნათელია. იგი მწვრთნელისაგან არ მოითხოვს დროის დაკარგვას მეცადინეობის პროცესში და საშუალებას იძლევა წვრთნის მსვლელობაში გარკვეულად იქნას აღნიშნული რამდენჯერ შესრულდა ყოველი კომბინაცია, კომბინაციის რომელ ნაწილში არის ნაკლოვანებანი და ა. შ.

მეცადინეობათა დაწვრილებით გარჩევაზე, რომლებიც ტარდება ნაკრები გუნდის კრებებზე, მწვრთნელები აღნიშნავენ კონკრეტულ ნაკლოვანებებსა და დადებით მხარეებს ყოველი ტანმოვარჯიშის წვრთნაში. ეს ტანმოვარჯიშეში აღვივებს მაღალი სპორტული მიღწევების მოპოვების გრძნობას. ამ გარჩევებზე გამოდიან აგრეთვე თვით ტანმოვარჯიშეები თავიანთი კრიტიკული შენიშვნებით უარყოფით და დადებით მხარეებზე, რაც ხელს უწყობს საწვრთნელი პროცესის გაუმჯობესებას, მეგობრული, ჯანმრთელი ურთიერთობის განმტკიცებას კოლექტივში.

მწვრთნელთა შემადგენლობა ვალდებულია თვალყური ადევნოს ინვენტარის წესრიგში ყოფნას, სწორად წარმართოს სწავლება და წვრთნა, უზრუნველყოს დაზღვევა და ა. შ. მაგრამ ეს პასუხისმგებლობას არ ხსნის თვით ტანმოვარჯიშეებს ყოველი ტანმოვარჯიშე წვრთნაზე და მის გარეშე უნდა იყოს დისციპლინიანი, პასუხისმგებლობით აღსავსე. ყოველგვარ უპასუხისმგებლობას, უყურადღებობას შეუძლია გამოიწვიოს ტრავმა. ნაკრების ყოველ წევრს შეგნებული აქვს, რომ თუ იგი არ იქნება სრული ყურადღებით, მიიღებს

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)



ჩემპიონატის ფინიშთან!

მეგობრული შარჟი ი. ვადბოლსკისა.

18 მარტს, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მიმდინარე წლის პირველი მატჩი ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. საწვრთნელ-საკონტროლო თამაშში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედო“ და თბილისის „დინამო“.

გუნდები მინდორზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: „ტორპედო“ — დენისენკო; ტარასოვი, გომესი, გურვიცი; სუჩკოვი, საფრონოვი; ილინი, ივანოვი, ანისიმოვი, სტრელცოვი, არბუტოვი. „დინამო“ — მარდანია; ელოშვილი, ძიაპშიპა, ხოჭოლავა; კოტრიკაძე, ურთმელიძე; ხასაია, კ. გაგნიძე, კალოევი, ღოლობერიძე, მესხი.

თამაში დაიწყო ნელი დაზვერვით მინდვრის ცენტრში. მოსკოველებმა რამდენჯერმე შორიდან „მოსინჯეს“ დინამოელთა მეკარე, მაგრამ დარტყმები არ იყო სახიფათო. შემდეგ „დინამოს“ თავდამსხმელებმა სცადეს ხიგრძივი გადაცემებით გასვლა კართან. ურთმელიძემ და კალოევმა ასეთი მიწოდებით სამჯერ გაიყვანეს ღოლობერიძე მცველებს შუა, რომელთაც ძალების სრული მობილიზაცია დაჭირდათ კარის გადარჩენისთვის.

თბილისელებმა თანდათან მოუმატეს ტემპს, გაგნიძე სწრაფად გავიდა მარცხენა ფრთაზე და მაღალი ბურთი ჩაწოდა ცენტრში. კალოევმა გადაცემა გააგრძელა მარჯვენივ, სადაც ბურთი მიიღო ხასაიამ და უკანვე დააბრუნა ცენტრში, საიდანაც კალოევმა იგი კარში გაიტანა — 1:0.

ბუთი წუთის შემდეგ დენისენკომ მეორე ბურთი გამოიტანა კარიდან — ხასაიამ ზუსტად დაკიდა ბურთი საჯარიმო მოედნის თავისუფალ კუთხეში, სადაც მოულოდნელად შევიდა კოტრიკაძე და შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი. 2:0.

ჰეორე ტაიმში თბილისელთა შემადგენლობაში მოხდა ცვლილებანი: ელოშვილის, ურთმელიძისა და მესხის ნაცვლად მინდორზე გამოვიდნენ დავარაშვილი, იამანიძე და ქვლივიძე. უკვე დასაწყისშივე გარღვევაზე გავიდა გაგნიძე და გომესთან და საფრონოვთან ბრძოლაში დაბალ კუთხეში გაიტანა მესამე გოლი.

ამის შემდეგ კარგა ხნით უპირატესობა ხელთ ჰქონდათ სტუმრებს და თბილისელებს ზოგჯერ ყრუ დაცვაშიც უხდებოდათ გადასვლა. მალე სტრელცოვმა შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა.

მხოლოდ მატჩის ბოლოს გამოასწორეს თამაში დინამოელებმა. კვლავ აქტიურად ამოქმედდნენ ხასაია, ღოლობერიძე, კალოევი, კოტრიკაძე. გონგის შემდეგ „ტორპედოს“ ნახევარზე გათამაშდა ასეთი კომბინაცია: ღოლობერიძე-გაგნიძე-ხასაია-ქვლივიძე-ხასაია. ეს რთული ჩანაფიქრი ზუსტი დარტყმით დაამთავრა ღოლობერიძემ და „ტორპედოს“ კარში მეოთხე გოლი გავიდა.

ამრიგად, მატჩი მოიგო თბილისის „დინამომ“ — 4:1.

გ. სტაშაძე

• • •

სურათზე: თბილისელთა მარჯვენა შუამბრი გაგნიძე „ტორპედოს“ კაპიტან გომესთან ბრძოლაში.

ფოტო კ. კრიმსკისა.



ოსტატთა პირველი მატჩები

კალათბურთელთა შეხვედრები

კალათბურთში ზამთრის რესპუბლიკური შეჯიბრების ბოლო დღისათვის ქალთა შორის მხოლოდ თბილისის პირველი გუნდი დარჩა დაუმარცხებელი. თბილისელებმა მოიგეს ბოლო შეხვედრაც სოხუმის კალათბურთელებთან (60:19) და დაიკავეს პირველი ადგილი. თბილისის განათლების განყოფილების გოგონებმა დაამარცხეს ბათუმის გუნდი ანგარიშით 53:30 და გამოვიდნენ მეორე ადგილზე. მესამე ადგილისათვის დაძაბული ბრძოლა გაიმართა ქუთაისისა და თბილისის მეორე გუნდს შორის. გაიმარჯვეს თბილისელებმა, რომლებმაც დაიკავეს მესამე ადგილი.

მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა ბრძოლა ვაჟთა ჯგუფში. ფინალისათვის გამარჯვებათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ თბილისის განათლების განყოფილებისა და თბილისის პირველ ნაკრებ გუნდებს. ნაკრებმა თამაში დაიწყო ასეთი შემადგენლობით: მიქაძე, ქაშაკაშვილი, კვაჭანტირაძე, გოლემბოვსკი, ტოგონიძე. ჰაბუკთა შორის იყვნენ—თურმანიძე, ლომსაძე, ორბელოვი, მესხიშვილი, ლომაძე. თამაში თავიდანვე წაიყვანეს ნაკრების კალათბურთელებმა, რომლებმაც პირველი ნახევარი დაამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ — 36:28.

შესვენების შემდეგ ნორჩმა კალათბურთელებმა მნიშვნელოვნად გამოასწორეს თამაში. ლომსაძემ, მესხიშვილმა და სხვებმა განსხვავება ანგარიშში დაიყვანეს 1 ქულამდე. ხოლო შემდეგ გააყაიმეს კიდეც — 60:60. როცა მატჩის დამთავრებას აკლდა 10 წამი, ტოგონიძემ კარგი გადაცემით ფართან გაიყვანა აჩბა, რომელმაც ქალაქის ნაკრებ გუნდს მოუტანა გამარჯვება. ანგარიშია 66:64.

მეორე ადგილისათვის იბრძოდნენ თბილისის მეორე ნაკრები და ქუთაისის გუნდი. მეტად დაძაბულ ბრძოლაში ქუთაისელთა ახალგაზრდულმა გუნდმა აჩვენა კარგი თამაში, მაგრამ ბოლო წუთებში მაინც წაგო — 57:63.

განვლილმა შეჯიბრებამ გვაჩვენა მონაწილე გუნდების ოსტატობის ზრდა. პირველად ყოვლისა უნდა აღინიშნოს ქუთაისის ქალთა ახალგაზრდული გუნდი, უკეთესად ვიდრე გასულ წელს თამაშობდა ფოთის ვაჟთა გუნდი, რომლის წამყვანი მოთამაშე ა. გუგუციძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო გათამაშებაში, მაგრამ მას მეტი თავდაჭერილობა მართებს მოედანზე.

უნდა აღინიშნოს, რომ გუნდების ტექნიკური მომზადება ჯერ კიდევ არ დგას სასურველ სიმაღლეზე, საჭიროა ზუსტი ტყორცნების გამომუშავება, მეტი მრავალფეროვნება ტაქტიკაში და მოთამაშეთა უკეთესი ფიზიკური მომზადება.

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

შეხვედრები ქუთაისში

ქუთაისი. ჩატარდა რამდენიმე მატჩი ფეხბურთში აქ სტუმრად მყოფი ოსტატი ფეხბურთელების მონაწილეობით.

ქუთაისის „დინამო“ შეხვდა მოსკოვის „ტორპედოს“ ოსტატთა დუბლიორებს და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. ამის შემდეგ ქუთაისელებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდის დუბლიორები.

მატჩი „ტორპედოსა“ და ცდს-ის ოსტატთა შორის მოიგეს არმიელებმა — 4:1.

ი. გუხაიძე.

საქართველოს ტანმოვარჯიშეები ემზადებიან სპარტაკიადისათვის

(დასასრული)

ტრავმას, სრული შეგნებულობით არ მოეკიდება თავის ჯანმრთელობის საქმეს — უღალატებს თავის კოლექტივს, რომელსაც მინდობილი აქვს რესპუბლიკის სპორტული პრესტიჟის დაცვა სპარტაკიადაზე.

დატვირთვა საქართველოს ნაკრები გუნდის წვრთნაზე რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე წამყვან საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა დატვირთვა. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ტანმოვარჯიშეთა საწვრთნელი დატვირთვა საშუალოდ 2,5—3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე შეჯიბრებებზე. ასეთი დატვირთვა ითვლება ოპტიმალურად. თუ ავიღებთ, მაგალითად, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრის ა. გრინშტეინის დატვირთვას შეჯიბრებასთან შედარებით იგი საწვრთნელ მეცადინეობაზე ორჯერ უფრო მეტია. ასეთი დატვირთვით კი გრინშტეინის გარდა "მუშაობენ მხოლოდ კაჭახიძე, პერტენავა და ფრიდონაშვილი. დანარჩენებს დატვირთვა კიდევ უფრო ნაკლები აქვთ. რასაკვირველია მხედველობაში უნდა მივიღოთ წვრთნის პერიოდი და ტანმოვარჯიშეთა ფიზიკური მდგომარეობა. ჩვენ მივისწრაფით იქით, რომ ტანმოვარჯიშე მთელი წლის განმავლობაში უნდა იყოს სპორტულ ფორმაში, მაგრამ არ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ მთელი წელი ეს ფორმა ერთ დონეზე იმყოფებოდეს. საჭიროა საწვრთნელი პროცესი დავგეგმოთ იმგვარად, რომ ყველაზე სპასუხისმგებლო შეჯიბრებათა პერიოდი დაემთხვეს ტანმოვარჯიშის საუკეთესო სპორტულ ფორმას. ამიტომ მოცემულ მომენტში შეიძლება ეს დატვირთვები საკმარისი იყოს, მაგრამ შემდგომში საჭიროა დატვირთვის თანდათან ამაღლება და მისი აყვანა ოპტიმალურამდე. გარდა ამისა, საჭიროა თანდათანობით გადავიდეთ კომბინაციების მსხვილი ნაწილების შესრულებაზე და გავზარდოთ კომბინაციათა შესრულების რაოდენობა მთლიანად.

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის სერიოზულ ნაკლოვანებად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ არ წარმოებს სპეციალური მეცადინეობანი აკრობატიკაში და გეგმაზომიერი მუშაობა ტანმოვარჯიშეთა შორის ძალისა და მოქნილობის გამომუშავებისათვის. ამ ნაკლოვანებით უნდა აიხსნას დარბაზების დიდი გადატვირთულობა. ამასთან დაკავშირებით პრაქტიკაში შემოღებულია ინდივიდუალური საშინაო სისტემა, რომელსაც გარკვეული სარგებლობა მოაქვს არსებულ პირობებში, მაგრამ არ შეუძლია შეცვალოს გეგმაზომიერი მეცადინეობა. დავალებათა სისტემა უნდა შეიცვალოს სპეციალური მეცადინეობით საზაფხულო მოედანზე გადასვლისას.

მეტი ორგანიზებულობისა და სიმტკიცის შეტანაა საჭირო დამატებით ვარჯიშებზე. დამატებითი მეცადინეობის დღეებში ტანმოვარჯიშე მუშაობს ცალკეულ ელემენტებსა და ნაერთებზე, საშუალება აქვს გაუმჯობესოს კომბინაციის შესრულება მრავალჯიდის იმ სახეობაში, რომელშიც იგი ჩამორჩება. მაგრამ ამ დამატებით მეცადინეობებს ყველა ტანმოვარჯიშე არ იყენებს სრული შესაძლებლობით. ზოგიერთ მათგანს დამატებითი მეცადინეობები მიაჩნია დასვენების დღეებად. მწვრთნელებმა უნდა აამაღლონ მოსთხოვნელობა მომეცადინეთა მიმართ.

ამგვარად, საწვრთნელ პროცესში, რომელიც ტარდება საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრებ გუნდებთან, მრავალი რამაა საინტერესო. არის მთელი რიგი საინტერესო სიახლენი, რომლებმაც არ შეიძლება თავისი დადებითი გავლენა არ მოახდინონ სპარტაკიადისათვის მზადებაზე. ეს დადებითი გამოცდილება გამოყენებულ უნდა იქნას სხვა ნაკრები კოლექტივების მიერაც. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ნაკლოვანებათა გამოსწორებაც.

რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისათვის

საქართველოს XVII საჭადრაკო ჩემპიონატი

გადადებული პარტიების დამთავრება

ის იყო ჩართეს საჭადრაკო ს[illegible] რომ შიშოვ-ბლაგიძის პარტიაში [illegible] შოვმა პოზიციის სამჯერ გამეორ[illegible] ვამო ყაიმი მოითხოვა. მსაჯებმა [illegible] მოწმების შედეგად კანონიერად მ[illegible] ნიეს ოსტატის მოთხოვნა და პა[illegible] ყაიმად ჩათვალეს. ასეთივე შედეგ[illegible] დამთავრდა გაფრინდაშვილ-გურ[illegible] ვიჩის შეხვედრაც. გურგენიძემ [illegible] გიორგაძეს, დემურიამ — გერ[illegible] ვიჩს, სოროკინმა — კაკაშვ[illegible] გერსამიამ — დემურიას და მა[illegible] რიანმა — გერსამიას.

მეთერთმეტე ტური

ყურადღების ცენტრში ლიდ[illegible] პარტიები იყო. მთავარ ყველაზე [illegible] სოროკინ-შიშოვის შეხვედრა [illegible] თავრდა. 29-ე სვლაზე, როდესაც [illegible] ზიცია ორივე ფრთაზე ჩაკეტ[illegible] იყო, ნოწინააღმდეგენი ყაიმზე შე[illegible] ხმდნენ.

გურგენიძემ დებიუტიდან ელ[illegible] ძის წინააღმდეგ სტრატეგიულად [illegible] საგები მდგომარეობა მიიღო. პოზ[illegible] ური მანევრებით გურგენიძემ [illegible] სვლაზე აიძულა მოწინააღმდეგე [illegible] ნებებულიყო. გუსლაევმა კაკიაშ[illegible] თან საკონტროლო უჯრების დაკ[illegible] ბით საგრძნობი უპირატესობა მო[illegible] ვა. ლაზიერის ფრთის შეკვრ[illegible] მან ძნელი ამოცანების წინაშე [illegible] ყენა მოწინააღმდეგე. ცაიტნოტმა [illegible] კიაშვილმა დაუშვა შეცდომა, [illegible] მაც პარტიის ბედი ბუსლაევს [illegible] სარგებლოდ გადაწყვიტა.

გერშკოვიჩმა გასიევს იერიშ[illegible] ვის ფიგურა შეწირა, მაგრამ [illegible] ვი ორასწორად იცავდა თავს, [illegible] კარგად ისარგებლა გერშკოვიჩ[illegible] გაიმარჯვა. რაზოვსკიმ შუა თა[illegible] გუგუნავას მოუგო ფიგურა. სა[illegible] რესია ამ პარტიის ფინალი. რა[illegible] სკიმ ლაზიერის შეწირვით ვუგუ[illegible] მეფეს ორი მხედრით შამათი გ[illegible] ცხადა.

ყაიმით დამთავრდა გერასამია-[illegible] ტოზიშვილისა და ზვიადაძე-[illegible] დაშვილის შეხვედრები.

ამრიგად, XI ტურის შემდეგ [illegible] შოვს და ა. ბუსლაევს აქვთ 9,5 [illegible] ლა თვითეულს, ბ. გურგენიძეს — [illegible] თ. გიორგაძეს — 7,5, გ. კალ[illegible] შვილს — 7, ნ. სოროკინს — 6,5 [illegible] ა. შ.

გასწორება

გაზეთ „ლელოს“ 14 მარტის ნო[illegible] ში მოთავსებულ წერილში — „[illegible] ტაკიადისათვის მზადების დღე[illegible] მეორე სვეტის მეორე აბზაცი [illegible] იკითხებოდეს ასე: „სპარტაკ[illegible] დებულების თანახმად სარა[illegible] შორისო ზონალური სპარტაკ[illegible] ბის პროგრამაში შედის შეჯიბ[illegible] ბი კალათბურთში, ქართულ ჭ[illegible] ტაში, სამძიმეთა აწევაში, [illegible] სპორტში, ტანვარჯიშში, ფეხბ[illegible] ში. ცხენოსნობაში, ფრენბურ[illegible] ტყვიით სროლასა და მძლეოსნ[illegible] ში“. და შემდეგ როგორც ტექს[illegible]

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მკრიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14

უე 00673